

**როგორ აფასებდნენ ბოლშევიკები პოლიტიკურ ოპონენტებს და როგორ  
სახავდნენ მათთან ოპონირების გზებს 1921-24 წლებში გაზეთ  
„კომუნისტში“ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით**

**თამრიკო კინწურაშვილი-ოდიკაძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე საბჭოთა კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

**საბჭოთა კვლევები**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე, ასისტენტ-პორფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2013**

## აბსტრაქტი

განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების მიმართ დამოკიდებულება, რომელიც არა მხოლოდ საქციელით არამედ სიტყვებითაც გამოიხატება, მწვავე პრობლემას წარმოადგენს დღეს. ეს მოიცავს როგორც სოციალურ ისე პოლიტიკურ სფეროებს და ერთდროულად პრობლემურთან, საინტერესოა და აქტუალურიც. სწორედ ეს არის მოტივაცია კვლევისა, რომლის მიზანია ბოლშევიკურ რიტორიკაზე დაკვირვება; იმის კვლევა თუ როგორ მოიხსენიებდნენ პოლიტიკურ ოპონენტებს და როგორ სახავდნენ მათთან ოპონირების გზებს ბოლშევიკები 1921-24 წლებში. ყველაზე ობიექტური შედეგის მისაღებად საკვლევ მასალად გამოყენებულია ბოლშევიკური გაზეთი „კომუნისტი“. გაზეთის ყოველი წლის სექტემბრის თვის პუბლიკაციების გაცნობამ გამოკვეთა კვლევის შედეგიც. აჩვენა, რომ ბოლშევიკები მრავალფეროვანი და უხვი ეპთეტებით მოიხსენიებდნენ ოპონენტებს, მაგრამ მათი რიტორიკა იყო ნეგატიური ტერმინებზე აწყობილი; შეიცავდა დამცინავ, შეურაცხმყოფელ, სალანძღავ და უწმაწურ სიტყვებს. მაგრამ გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა სიტყვებს ჰქონდა სხვა უფრო ღრმა დატვირთვაც, მაგალითად სურვილი პოლიტიკური ოპონენტების მტრის ხატის შექმნისა, მათი სისხლის სამართლის დამნაშავეებად წარმოჩენის. ეს ნიადაგი კი მზადდებოდა საბლოოდ, პოლიტიკური ოპონენტების ფიზიკური ლიკვიდაციის ლეგიტიმაციისთვის. ბოლშევიკური რიტორიკა პოლიტიკური ოპონენტებს მიმართ დღევანდელი დეფინიციით არის სიმულვილის ენის დამკვიდრების მკაფიო მაგალითი.

**ძირითადი თემატური სიძიებო სიტყვები:** ბოლშევიკები, ეპთეტები, ოპონირება.